გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება
N

საქართველო, ქ. 00/00/000.

ხელშეკრულების მხარეები:

1.1. გამსესხებელი

საფირმო სახელწოდება:	**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“**
იურდიული მისამართი:	**საქართველო, ქ. თბილისი, გამზირი აკაკი წერეთელი N 118, 1-ლი პავილიონი**
საიდენტიფიკაციო კოდი:	**205274273**
რეგისტრაციის თარიღი:	**05/03/2009**
წარმომადგენელი:	**დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობით მოქმედი**

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის წარმოდგენილი როგორც გამსესხებელი (შემდგომში“გამსესხებელი”)

1.2. მსესხებელი

სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
მისამართი:	
ელ-ფოსტა:	
საკონტაქტო ტელ:	

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გირავნობის საგანი განზრახ განადგურებულად/გადამალულად მიიჩნევა ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში:

გირავნობის საგნის განზრახ განადგურება/გადამალვა

გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის მომენტისათვის გირავნობის საგნის შეფასების აქტით განსაზღვრული ღირებულება შემცირებულია არანაკლებ 30%-ისა რაც დგინდება გირავნობის საგნის განმეორებითი შეფასების აქტით. (ღირებულების შემცირებად არ ჩაითვლება სესხის გაცემის და შესაბამისი შეფასების მომენტიდან გირავნობის საგნის წლიური ცვეთა-ყოველწლიურად არაუმეტეს შეფასების აქტით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით);
გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება თავდაპირველი შეფასების აქტით (სესხის გაცემის მომენტისათვის შედგენილი შეფასების აქტი) განსაზღვრული გირავნობის საგნის მდგომარეობას (ავტომანქანა დაშლილია, ამოღებულია მნიშვნელოვანი ნაწილები, განადგურებულია/დამწვარია, არსებობს თვალსაჩინო დაზიანებები და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა დასტურდება გამსესხებლის მიერ გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალით) მიუხედავად იმისა აღნიშნული დაზიანებები გამოწვეული იქნა უშუალოდ მსესხებლის თუ თუ ნებისმიერი სხვა მესამე პირის მიერ;
გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგანი დაზიანდა ან განადგურდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და თუ:

- ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ავტოსაგზაო შემთხვევის აქტი გაცემული საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ, აღნიშნული ავტოსაგზაო შეთხვევიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;

- ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გირავნობის საგანს მართავდა მსესხებელი ამ სხვა მესამე პირი არაფხიზელ

მდგომარეობაში;

- ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გირავნობის საგანს მართავდა არაუფლებამოსილი(მართვის მოწმობის არმქონე პირი);
- ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომა გამოწვეული იქნა მსესხებლის ან სხვა მესამე პირის(გირავნობის საგნის მძღოლის) მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით
- ნებისმიერ შემთხვევაში ავტოსაგზაო შემთხვევისას თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა არაუფლებამოსილი პირი (უფლებამოსილ მძღოლთა/პირთა სია განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართის სახით).
- მსესხებელი/დამგირავებელი საკუთარი სურვილით დააზღვევს გირავნობის საგანს გამსესხებელი/მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ან/და იმ შემთხვევაში თუ გამსესხებელი/მოგირავნე არ იქნება რეგისტრირებული მოსარგებლედ სადაზღვევო პოლისში, რაც გირავნობის საგნის დაკარგვის, დაზიანების, განადგურების ან ნებისმიერი სხვა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეუძლებელს გახდის გამსესხებლის/მოგირავნისათვის ზარალის ანაზღაურებას.

გირავნობის საგანი გადამალულად მიიჩნევა თუ გამსესხებლის მოთხოვნიდან (მოთხოვნად მიიჩნევა მსესხებლისათვის/მესაკუთრისათვის გაგზავნილი შეტყობინება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით) არაუგვიანეს 3 კვირის ვადაში მსესხებლის/მესაკუთრის მიერ გამსესხებლისათვის/მოგირავნისათვის არ იქნა წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, ან თუ გირავნობის საგანი დასმულია ძებნა-დაკავებაზე და ვერ იქნა მოძიებული ძებნა-დაკავებაზე დასმიდან 2 თვის განმავლობაში, რაც დასტურდება აღმასრულებლის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით.
იმ შემთხვევაში თუ გირავნობის საგანი ზემოთ აღნიშნული რომელიმე შემთხვევის დადგომის შედეგად განადგურდება ან აღმოჩნდება გადამალულიმსესხებელი/მესაკუთრე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხისმგებელია მთელი თავის ქონებით.
წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი/მესაკუთრე ადასტურებს, რომ ეთანხმება გირავნობის საგნის შეფასებას თანახმად გამსესხებლის მიერ მომზადებული შეფასების აქტისა, არ აქვს ამასთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა თუ პრეტენზია;

1.3. გამსესხებელი და მსესხებელი (შემდგომში მხარეები) ვაფუძნებთ რა საქმიან ურთიერთობას ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე, წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების დადებით, გამოვხატავთ ნებას, ურთიერთობა ავაგოთ ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით და უზრუნველვყოთ: გამსესხებლის მხრივ მსესხებლის მომსახურების სისწრაფე, ხოლო მსესხებლის მხრივ გაცემული კრედიტების დროული და სრული დაბრუნება. შესაბამისად ამ ხელშეკრულებით ვადგენთ იმ პირობებს და განვსაზღვრავთ იმ უზრუნველყოფას, რაც გამოყენებული იქნება მსესხებლის მიმართ გამსესხებლის მოთხოვნის სრულად უზრუნველსაყოფად. მსესხებელი აცხადებს, რომ უზრუნველყოფის ხელშეკრულებების დადება, ამ ხაზის და ხაზიდან მისაღები კრედიტების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენს კრედიტების, მიღების აუცილებელ პირობას მხოლოდ გამსესხებლის შიდა პროცედურების გავლის შემდგომ, რაც სრულად აკმაყოფილებს მის საქმიან და იურიდიულ ინტერესს. შესაბამისად, ვმოქმედებთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება)შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი.
2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გამსესხებელი ხსნის გენერალურ საკრედიტო ხაზს და ადგენს საკრედიტო თანხის ლიმიტს, ვადას და პროცენტს, რის ფარგლებშიც ცალკეულ საკრედიტო მოთხოვნის განხილვისა და დამტკიცების გზით, მსესხებლისათვის გასწევს სასყიდლიან მომსახურებას ხაზის შემადგენელი: საკრედიტო ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებების დადების გზით, რაც გაიცემა ამ ხაზის მომსახურების მიზნით დადებული შემადგენელი ხელშეკრულებებით (შემდგომში შემადგენელი ხელშეკრულება). გენერალური საკრედიტო ხაზის შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის დადებისას, იმ ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით გამსესხებელი გასცემს: კრედიტებს, საკრედიტო ხაზებს და სხვა სახის საკრედიტო პროდუქტებს; ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის და თანხის ფარგლებში შეუზღუდავად განიხილება მსესხებლის კრედიტ(ებ)ით დაფინანსების მოთხოვნები, გამსესხებლის შიდა პროცედურების გავლის შემდეგ იმდაგვარად, რომ ათვისებული თანხების მოქმედმა ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს გენერალური საკრედიტო ხაზის ლიმიტს, ამავდროულად ითვალისწინებდეს დროის გონივრულ პერიოდს მსესხებლის მიერ ათვისებული თანხების დაფარვისათვის გენერალური საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის დასრულებამდე. შემადგენელი ხელშეკრულებები, მათი დანართებითურთ, დადებისთანავე

განიხილება როგორც გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მათზე სრულად ვრცელდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები. შესაბამისად ის პირობები რაც შეთანხმებულია ამ ხელშეკრულებით აღარ საჭიროებს შემადგენელ ხელშეკრულებში დამატებით შეთანხმებას, თუკი ამ შემადგენელი ხელშეკრულებით ცალსახად არ იქნა განსაზღვრული რაიმე კონკრეტული სხვა პირობა.

2.2. საკრედიტო ხაზის საერთო პირობები:

2.2.1 ერთიანი საკრედიტო ლიმიტი:	
2.2.2 ამოქმედების თარიღი:	
2.2.3 ხაზის მოქმედების ვადა (დროის ლიმიტი):	
2.2.4 მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	_____
2.2.5 საკრედიტო ხაზის დახურვის თარიღი:	
2.2.6 არსებითი პირობა:	გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული კრედიტების არსებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი შემადგენელი ხელშეკრულებებით
2.2.7 საკომისიოები, პირგასამტეხლოები:	**2.2.7.1** საკომისიოს, პირგასამტეხლოს, ჯარიმის ოდენობა და სახე, ასევე თითოეული კრედიტის მიზნობრიობა და სხვა არსებითი პირობები, შეთანხმდება შემადგენელი ხელშეკრულებებით
2.2.8 შეთანხებული უზრუნველყოფა **:**	ა) გამსესხებლის წინაშე მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად გამსესხებლის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით დადებული ხელშეკრულებები წარმოადგენენ გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც გულისხმობს რომ უზრუნველყოფილია გამსესხებლის მოთხოვნები მსესხებლის მიმართ.
	ბ) იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ ფარავს გამსესხებლის მოთხოვნას, გამსესხებელი უფლებამოსილია აღსრულება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაზე - მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით. (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე **ან/და თუ უზრუნველყოფაში შემოთავაზებული ქონება მიჩნეულია განზრახ განადგურებულად/გადამალულად**)

3. მსესხებლის განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები

3.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

3.1.1.გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების, და/ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების და განაცხადის ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა

და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა.
3.1.2.წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისათვის არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში,მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის ქონებას და/ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და/ან მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ან სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას.
3.1.3.წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის მის მიერ გამსესხებლისათვის წარდგენილი ინფორმაცია არსებული ვალდებულებების შესახებ არის უტყუარი და ზუსტი.
3.1.4.წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევას.
3.1.5.წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, გამსესხებლის ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების, ან ზემოქმედების გამოყენების გარეშე.
3.2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ გამსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებსა, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია გამსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კრედიტის გაცემას) ცალმხრივი უარის სათქმელად. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გამსესხებლის მიერ მითითებულ ვადაში დააბრუნოს ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი თანხა მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და გამსესხებლის მიერ დაკისრების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს თანხების ჩათვლით.
3.3 მსესხებელი აცხადებს რომ არ არსებობს ინფორმაცია და ფაქტები, რომელთა გათვალისწინებითაც გონიერი გამსესხებელი არ დადებდა წინამდებარე და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებს მათში გათვალისწინებული პირობებით, მსესხებელი აცნობიერებს რომ გამსესხებელმა დადო ხელშეკრულება მსესხებლის ყველა განცხადებასა და გარანტიაზე სრული დაყრდნობით;
3.3.1 გამსესხებელი აცხადებს რომ არ არსებობს უფლებამოსილება, თანხმობა, მითითება ან შეტყობინება ნებისმიერი მესამე პირისგან, რომელიც აუცილებელია გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების დადებისა და მისგან გამომდინარე ვადლებულებების შესრულებისათვის. გამსესხებელი აცნობიერებს რომ მსესხებელმა დადო ხელშეკრულება გამსესხებლის ყველა განცხადებასა და გარანტიაზე სრული დაყრდნობით;
3.4. გამსესხებელი იტოვებს ცალმხრივ უფლებას, რაზედაც მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ შემადგენელი ხელშეკრულებით დადგენილი კრედიტის გაცემა არ არის გამსესხებლის ვალდებულება, არამედ წარმოადგენს გამსესხებლის უფლებას და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ცალმხრივად უფლებამოსილია არ გასცეს შეთანხმებული თანხა და შეწყვიტოს კრედიტის გაცემა, რაზედაც არ არის ვალდებული განუმარტოს მიზეზები მსესხებელს.
3.5 გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებისა და ამ ხაზის მომსახურების მიზნით დადებული შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის ნებისმიერი პირობ(ებ)ის ცვლილებისას, გამსესხებელი თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ხორციელდება მსესხებლის/თავდების/მესაკუთრის სასარგებლოდ.

4. საპროცენტო სარგებელი, მისი დარიცხვის და შეცვლის წესი.
4.1 საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით. თუ გამსესხებელი ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას პროცენტის დარიცხვის წესი განისაზღვრება შემადგენელი ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობითა და წესით.

5. კრედიტის დაფარვის და საპროცენტო სარგებლის გადახდის წესი.
5.1 კრედიტ(ებ)ის და საპროცენტო სარგებლის დაფარვა განხორციელდება გრაფიკით, რაც არსებობისას დაერთვის შემადგენელ ხელშეკრულებებს. გრაფიკი, ყველა შემთხვევაში და ცალსახად, წარმოადგენს შემადგენელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მოქმედებს მასთან და ამ ხელშეკრულებასთან ერთად მსესხებლის მიერ ვალდებულებათა სრულად შესრულებამდე. კრედიტ(ებ)ის დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება აღსრულების ხარჯები(ასეთის არსებობის შემთხვევაში),პირგასამტეხლო და ჯარიმა (არსებობისას), შემდეგ დარიცხული პროცენტი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს გამსესხებლის გადაწყვეტილებით.
5.2 ნებისმიერი გადახდილი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ გრაფიკით შეთანხმებული

გადასახდელი თანხები გადახდილია გრაფიკში მითითებულ თარიღზე. თუ ეს დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო პირველი სამუშაო დღისა.

6. პირგასამტეხლო, მისი დარიცხვის და გადახდის წესი.

6.1. თუ მსესხებელი დააგვიანებს ან არ გადაიხდის კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში კრედიტის ძირითად თანხას და/ან დარიცხულ პროცენტს, გამსესხებელი უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის შემადგენელი ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობით.

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი და გადახდის გრაფიკით დადგენილი გადასახდელების გადახდის ვალდებულებისაგან

6.3 იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადით გადააცილებს შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის რომელიმე ეტაპის შესრულებას გამსესხებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება სესხის ნაწილში, რა დროსაც მსესხებელი ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამსესხებლის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა უზრუნველყოს გამსესხებლისათვის სესხის დარჩენილი ნაწილის დაბრუნება. გამსესხებელი უფლებამოსილია დამატებით დააკისროს შემადგენელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, აგრეთვე ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)შემადგენელი ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობით;

6.4 თუ მსესხებელი გადააცილებს კრედიტის (სესხის) დაბრუნების ან/და სარგებლის/ჯარიმის გადახდის ამ მუხლის 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადას 5 (ხუთი) დღით, გამსესხებელი უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხაზის მომსახურების ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დადებული შემადგენელი გირავნობის/იპოთეკის ან და სხვა უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი იძულებითი აღსრულების ღონისძიება.

6.5 გამსესხებელი უფლებამოსილია, რაზედაც მსესხებელი წინასწარ აცხადებს უპირობო თანხმობას, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ცალმხრივად შეცვალოს საკომისიოებისა და პირგასამტეხლოების ოდენობა და დარიცხვისა და გადახდის სქემები;

6.6 პირგასამტეხლოსდა ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი და გადახდის გრაფიკით დადგენილი გადასახდელების გადახდის ვალდებულებისაგან

6.7 გამსესხებელი უფლებამოსილია, არ განახორციელოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს/ჯარიმის დარიცხვა, ან ნაწილობრივ დაარიცხოს პირგასამტეხლო/ჯარიმა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას გამსესხებელი იღებს ცალმხრივად;

7. უზრუნველყოფის საგნებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები.

7.1 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფაში წარმოდგენილი ქონების ღირებულება შემცირდება, ან წარმოიქმნება მისი შემცირების საშიშროება იმ გარემოებათა გამო, რომლებზეც პასუხისმგებელი არ არის გამსესხებელი, მას უფლება აქვს მოითხოვოს სხვა, დამატებითი ქონების დატვირთვა. მსესხებელი ვალდებულია, გამსესხებლის მიერ დადგენილ ვადაში ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესაბამისად, გამსესხებელს დასატვირთად გადასცეს დამატებითი ქონება, ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების რომელიმე სხვა, გამსესხებლისათვის მისაღები უზრუნველყოფა.

7.2 გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს უზრუნველყოფის საგნის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) საგნის ღირებულება ისე შემცირდა, რომ საფრთხე ექმნება უზრუნველყოფილ მოთხოვნას.

(ბ) მესაკუთრის მიმართ მესამე პირმა შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს უზრუნველყოფის საგანზე (ან მის ნაწილზე) მესაკუთრის საკუთრების უფლების შეწყვეტას, ან შეზღუდვას, ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში დააკმაყოფილოს გამსესხებლის მოთხოვნა უზრუნევლყოფის საგნის შეცვლის შესახებ.

7.3 მსესხებლის მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია:

(ა) მოითხოვოს ვალდებულების ვადამდელი დაკმაყოფილება თუ კრედიტი გაცემულია;

(ბ) უარი განაცხადოს კრედიტის გაცემაზე და შეწყვიტოს/გააუქმოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუ არ არის გაცემული კრედიტი;

7.4 გამსესხებლის მიმართ არსებული ვალდებულება (კრედიტი, სარგებელი, შესაძლო პირგასამტეხლო, ჯარიმა(არსებობისას) შესაძლო ზიანი, სასამართლო და სააღსრულებო ხარჯები და სხვა), რაც უზრუნველყოფილია ხელშეკრულების საფუძველზე დადებული უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით, მსესხებლის მხრიდან მესამე პირს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ გამსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამსესხებლის უარი ვალის მესამე პირისათვის გადასაცემად გამორიცხავს ვალის გადაკისრებას მესამე პირზე.

7.5 გამსესხებელს უფლება აქვს დაუთმოს მესამე პირს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა და მასთან ერთად ხელშეკრულებით დადგენილი უზრუნველყოფა, (იპოთეკა/გირავნობა), მოთხოვნისა და ამ მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლების დათმობა ხორციელდება გამსესხებელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, (უზრუნველყოფის სახით გირავნობის/იპოთეკის შემთხვევაში მესამე პირის, როგორც ახალი მოგირავნის/იპოთეკარის მომსახურების სააგენტოში/საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციით); მოთხოვნის დათმობასთან ერთად მესამე პირს გადაეცემა ამ მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება, გამსესხებლის მიერ მესამე პირისათვის უფლების დათმობის შემთხვევაში, გამსესხებელი ვალდებულია უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შეატყობინოს მსესხებელს.

7.6. წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილ გირავნობის საგანზე ნებისმიერი სახის ცვლილების (ავტომანქანის ტიპი, ფერი, სახ. ნომერი, მესაკუთრე და ნებისმიერი სხვა ცვლილება) განხორციელების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს გირავნობის საგნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის-ტექ. პასპორტის ცვლილებას. მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია გამსესხებელ/მოგირავნეს წარუდგინოს შეცვლილი ტექ. პასპორტი ასეთი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

7.7. მსესხებლის მიერ წინამდებარე და მისი შემადგენელი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამსესხებელიმიმართავს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში თუ გირავნობის მოწმობის კერძო აღმასრულებელთან წარდგენიდან 2 თვის ვადაში ვერ მოხერხდება გირავნობის საგნის მოძიება გამსესხებელი უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მსესხებლის საკუთრებაში არსებულ და სამომავლოდ არსებული ნებისმიერი/მთელი ქონებიდან;

7.8 იმ შემთხვევაში თუ გირავნობის საგანი დაიკარგა, განადგურდა, დაზიანდა ან შეწყდა მასზე საკუთრების უფლება, მსესხებელი ვალდებულია გამსესხებლისთვის მისაღებ ვადაში აღადგინოს ან გამსესხებელთან შეთანხმებით შეცვალოს იგი იმავე ღირებულების ქონებით.

7.9 იმ შემთხვევაში თუ გირავნობის საგანი დაიკარგა და იგი ვერ იქნა მოძიებული, დაკარგვიდან 2 თვის ვადის გასვლის შემდგომ გამსესხებელს/მოგირავნეს უფლება აქვს აღსრულება მიაქციოს მსესხებლის/დამგირავებლის ნებისმიერ სხვა ქონებაზე;

7.10 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამსესხებლის სასარგებლოდ დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხა, ან ქონების ღირებულება სრულად არ ფარავს წინამდებარე და მათი შემადგენელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოგირავნის მოთხოვნას, მასთან დაკავშირებულ სხვა დამატებით უფლებებთან ერთად, მოთხოვნა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად. უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილებლობის შემთხევაში, მსესხებელი ვალდებულია, გამსესხებლის წინაშე პასუხი აგოს მთელი თავისი ქონებით იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გირავნობის საგანი ვერ დააკმაყოფილებს უზრუნველყოფილ მოთხოვნას. **(აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე ან/და თუ უზრუნველყოფაში შემოთავაზებული ქონება მიჩნეულია განზრახ განადგურებულად/გადამალულად)**

8. ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

8.1 ხელშეკრულების პირობები მსესხებლის მიერ დარღვეულად ჩაითვლება თუ:

8.1.1 მსესხებელი დაარღვევს შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით შეთანხმებულ კრედიტის მიზნობრიობას ან/და არსებით პირობას.

8.1.2 გენერალური საკრედიტო ხაზით სარგებლობისას მსესხებელი ვერ გადაიხდის შემადგენელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი დაფარვის გრაფიკით დადგენილ კრედიტის ძირითადი თანხის ნებისმიერ ნაწილს ან მასზე დარიცხულ პროცენტს, ან პირგასამტეხლოს, თუ ასეთი გადაუხდელობა <u>გაგრძელდება 20 (ოცი) კალენდარულ დღეს ან/და ასეთი დარღვევა განმეორდება ზედიზედ ორჯერ.</u>

8.1.3 მსესხებელი ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი შემადგენელი ხელშეკრულებით დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას ან მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ ასეთი შეუსრულებლობა <u>გაგრძელდება 20 (ოცი) კალენდარული დღით.</u>

8.1.4 გამსესხებელს დაადგენს, რომ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსესხებლის საქმიანობას და ეჭვქვეშ აყენებს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან სხვა დაკავშირებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

8.1.5 გამსესხებელი დაადგენს, რომ საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსესხებელის გადახდისუნარიანობას;

8.1.6 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს მსესხებელს ქონებას ან სხვა აქტივებს, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს მის ნაციონალიზაციას ან ექსპროპრიაციას.

8.1.7 ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან და/ან შესაბამის შემადგენელ ხელშეკრულებასთან, აღმოჩნდება არასწორი;

8.1.8 მსესხებლის მოქმედება მიმართულია გამსესხებლის მოტყუებისაკენ, ან აყენებს მას ზიანს;

8.1.9 მსესხებელზე წამოწყებულ იქნება სასამართლო წარმოება, რითაც საფრთხე შეექმნება მსესხებელის ქონებას ან საეჭვო გახდება მსესხებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

8.1.10 მსესხებლის ან თავდების, მათი ქონების მიმართ სახელმწიფო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომლებიც არსებითად გაართულებს ან შეუძლებელს გახდის მსესხებლის მიერ საკუთარი ქონების განკარგვას;

8.1.11 თუ სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სახელმწიფოს ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე.

8.1.12 განადგურდა, დაზიანდა ან ღირებულება შეუმცირდა უზრუნველყოფის საგნებს გამსესხებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოებისას არ შეცვალა დადგენილი წესით უზრუნველყოფის საგანი;

(ა) უზრუნველყოფის საგანი გასხვისდა, გაიყო, გაერთიანდა ან სხვაგვარად გარდაიქმნა გამსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე.

(ბ) უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე არღვევს უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ვალდებულებებს.

8.1.13 მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.6პუნქტში მითითებული არსებითი პირობ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში.

8.2 ზემოთ აღწერილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე:

(ა)ცალმხრივად შეწყვიტოს მსესხებლისათვის წერილობითი შეტყობინების მიწოდების მეშვეობით და მოსთხოვოს მას კრედიტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გადახდა გამსესხებლის მიერ მითითებულ ვადაში, რაც არ ნიშნავს გამსესხებლისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული ან მისი დარღვევით წარმოშობილი უფლებების გაუქმებას და/ან შელახვას;

(ბ)უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს მსესხებელი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს გამსესხებლის სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი მსესხებელთან, ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გამსესხებლის წარმომადგენლის დაშვება უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების შესამოწმებლად.

8.3 ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ვალდებულებების გამსესხებლის მიერ მოთხოვნის ვადამდელი შესრულების მითითებისას, თუ მოთხოვნაშივე მითითებულ ვადაში და მოცულობით არ შესრულდება ეს მოთხოვნა, გამსესხებელი უფლებამოსილია დაიწყოს იძულებითი აღსრულების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად დასაფარად, გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს პასუხისმგებლობა დავალიანების ნაშთზე. იგივე ვრცელდება იმ ხარჯებსა და დანახარჯებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციის პროცესში. (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე **ან/და თუ უზრუნველყოფაში შემოთავაზებული ქონება მიჩნეულია განზრახ განადგურებულად/გადამალულად**)

8¹ მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები.

8¹.1. მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები გათვალისწინებულია მსესხებელთან გაფორმებული წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პუნქტებში, გირავნობის/იპოთეკის/თავდებობის ხელშეკრულებ(ებსა და საკრედიტო ხელშეკრულებაში.

8¹.2. გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ან/და სესხის ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კონტრაგენ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება გამსესხებლის შემდეგი მოქმედებებით:

8¹.2.1 გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტით

8¹.2.2 სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი იპოთეკის საგნის რეალიზაციით. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის

რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს იპოთეკარის მოთხოვნას, იპოთეკარი უფლებამოსილია აღსრულება მიაქციოს მსესხებლისა და სოლიდარული თავდებების (არსებობის შემთხვევაში) სხვა ქონებაზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

8¹.2.3 სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გირავნობის საგნის რეალიზაციით. უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, გამსესხებლის წინაშე პასუხი აგოს მთელი თავისი ქონებით იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გირავნობის საგანი ვერ დააკმაყოფილებს უზრუნველყოფილ მოთხოვნას. (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე ან/და თუ უზრუნველყოფაში შემოთავაზებული ქონება მიჩნეულია განზრახ განადგურებულად/გადამალულად));

8¹.2.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად, პირდაპირ მიიღოს საკუთრებაში იპოთეკის საგანი. გამსესხებელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრს და გადაიფორმოს იპოთეკის საგანი, აღნიშნულისთვის გამსესხებელს არ ესაჭიროება მესაკუთრის თანხმობის (წერილობითი ან ზეპირი) წარდგენა საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური თავის მხრივ ვალდებულია, გამსესხებლის განცხადების საფუძველზე, რომელსაც დაერთვება ხელშეკრულების ასლი, იპოთეკის საგნის მესაკუთრედ დაარეგისტრიროს გამსესხებელი;

8¹.2.5 სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გირავნობის საგნის მოგირავნის/გამსესხებლის საკუთრებაში გადასვლით;

8¹.2.6 გირავნობის საგნის მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად ან/და გირავნობის საგნის გადამალულად მიჩნევის შემთხვევაში, საკუთარი უფლებების და ინტერესების დასაცავად საერთო სასამართლოსთვის ან/და არბიტრაჟისთვის მიმართვით;

8¹.2.7 მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდებების საბანკო ანგარიშებზე და უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებით შემდგომში მათი იძულებითი წესით რეალიზაციის მიზნით;

8¹.3. გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით განახორციელოს სხვა იძულებითი ღონისძიებების, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობისა და მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლის, მოქმედების და ვადამდე შეწყვეტის წესი.

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

9.2.მიუხედავად წინა პუნქტით დადგენილისა, შემადგენელი ხელშეკრულება დაიდება მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:

9.2.1. მსესხებელის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად და შესასრულებლად;

9.2.2 მსესხებელი გამსესხებელს მიაწვდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და ინფორმაციას; და

9.2.3 გაფორმდება უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსესხებელის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

9.3 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:

9.3.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

9.3.2 მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის ამგვარი დამრღვევის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას;

9.3.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 და მე-8 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას;

9.3.4 მსესხებლის მიმართ ნებისმიერი სასამართლო დავის წამოწყება, რითაც საფრთხე შეექმნება მსესხებელის ქონებას ან საეჭვო გახდება მსესხებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

9.3.5 ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი დანართებით და/ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით და/ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

9.4.1 მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება (ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის, ჯარიმის და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით) გამსესხებლის წინაშე;

9.4.2 გამსესხებელი გათავისუფლდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან მსესხებელის წინაშე.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2.წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

10.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა შპს ,,საარბიტრაჟო სასამართლო თემიდა“-ს (საინდიფიკაციო კოდი 402302129) (შემდგომში - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი) ან მის სამართალმემკვიდრეს; საქმეს განიხილავს ერთი არბიტრაჟისგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟის თავჯდომარე. მხარეების მიერ არბიტრის აცილების ვადა განისაზღვრება 5 დღით.

10.4. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დავას განიხილავს საქართველოში (თბილისში). საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება ქართულ ენაზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის.

10.5 მხარეები ვთანხმდებით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სასამართლოს თავჯდომარემ.

10.6 მხარეები თანხმდებიან თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 10 000 (ათი ათას) ლარს ან მის ექვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგების თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად სხვა ვალუტაში, არბიტრაჟს უფლება აქვს დავა განიხილოს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად.

10.7 მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრ(ებ)ს შორის წარმოებს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის სასუალებით. მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებით (ან სხვა დოკუმენტით) განსაზღვრულ ელ. ფოსტის მისამართზე. მსესხებელი/თანამსესხებელი (მოგირავნე/მესაკუთრე/თავდები) აცხადებს თანხმობას, რომ არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის საარბიტრაჟო საქმის წარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების)/ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებაში (ან სხვა დოკუმენტში) მითითებულ მის პირად ელ. ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით გაგზავნა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით.

10.8 ისეთ შემთხვევაში, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის საარბიტრაჟო შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც განთავსდება არბიტრაჟის ვებგვერდზე: www.arbitraji.gweb.ge. საარბიტრაჟო შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

10.9 იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებული არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

10.10 საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შორის დავის წარმოშობის დროისათვის არბიტრაჟის მოქმედი დებულების შესაბამისად, ხოლო საერთო სასამართლოების მიერ დავის განხილვის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესის შესაბამისად;

11. კონფიდენციალურობა, პერსონალური მონაცემების დამუშავება

11.1 მსესხებელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ თანხმობას აძლევს გამმსესხებელს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების, საფუძვლებითა და წესით.

11.2 პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიის კანონმდებლობით დაკისრებული

ვალდებულების შესრულების მიზნით. მსესხებელი ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემების ზემოაღნიშნულ ფარგლებში დამუშავებაზე და მესამე პირებისთვის გადაცემაზე.

11.3. გამსესხებელი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვას, ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ გამსესხებლის მიერ მიღებული ინფორმაციის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მესამე პირებისათვის, შესაბამისი სასამართლო განჩინების, ამ შეთანხმების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე.

11.4. მონაცემების შენახვა ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საგადასახადო კოდექსისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვად(ებ)ის გათვალისწინებით. მონაცემთა სუბიექტს (მსესხებელს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს გამსესხებელს და განახორციელოს მისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია.

11.5. მსესხებელს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ აქვს შემდეგი უფლებები: მისი პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გატანის უფლება, გასაჩივრების უფლება;

11.6. მსესხებელს კანონის შესაბამისად უფლება აქვს გამსესხებლისთვის წერილობითი შეტყობინების მიმართვის გზით გაიხმოს/გაითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მიზნით გაცემული თანხმობ(ები)ა.

11.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძვლის არ არსებობის შემთხვევაში, მსესხებლის მხრიდან მისი უფლებების რეალიზაციის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულებას, მათ შორის მსესხებლის მოთხოვნის შესრულებას თანხმობის გახმობის თაობაზე; თანხმობის გახმობა მსესხებელს არ ათავისუფლებს თანხმობის გაცხადებით (მის ფარგლებში) დამდგარი/გამოწვეული საამრთლებრივი შედეგებისაგან.

11.8. მსესხებელი იძლევა თანხმობას, მისი მონაცემების დამუშავების პროცესში გამსესხებელმა გამოიყენოს, როგორც ადამიანური ჩართულობით, ასევე ავტომატიზებული ფორმით დამუშავების მეთოდები.

11.9. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (I) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (II) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (III) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

11.10. მიუხედავად **11.9.** პუნქტში მითითებული შეზღუდვისა მსესხებელი თანახმაა და გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას, მსესხებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

11.10.1. გამსესხებლის კანონიერი ინტერესის დაცვის, მომსახურების გაწევის, მის მიმართ არსებული ვალდებულებების აღრიცხვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის დაამუშავოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), კერძოდ: სახელი; გვარი; პირადობის მოწმობის ნომერი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართები(რეგისტრირებული, ფაქტიური); ელექტრონული ფოსტის მისამართი; ტელეფონის ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია; სამუშაო ადგილი; პოზიცია; ანაზღაურება; საბანკო ანგარიშის ნომერი; საკრედიტო ისტორია; სასესხო განაცხადები და სხვა ნებისმიერი კატეგორიის პერსონალური მონაცემი(შემდგომში "მონაცემი"), რომელიც მსესხებელმა გამსესხებელს მიაწოდა სასესხო განაცხადის შევსებით, სატელეფონო საუბრით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ნებისმიერი ფორმით ან სხვა ფორმით გახდა ცნობილი გამსესხებლისთვის. ამასთან მსესხებლისგან გამსესხებლისთვის ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფორმით ინფორმაციის მიწოდება განიხილება როგორც მსესხებლის თანხმობა გამსესხებლის მიერ ამ მონაცემების დამუშავების თაობაზე.

11.10.2. მსესხებელი უფლებას აძლევს გამსესხებელს სადებეტო ბარათებით შეუფერხებელი მომსახურების გაწევის მიზნით განახორციელოს მსესხებლის შესახებ არსებული მონაცემების გაცვლა /გადაცემა მესამე პირთათვის.

11.10.3. გამსესხებლის მიერ მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიზნების გარდა დამატებით განხორციელდეს შემდეგი მიზნებით:

11.10.3.1. მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

11.10.3.2. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის

ხელმისაწვდომობისთვის;

11.10.3.3. გამსესხებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც გამსესხებელი ახორციელებს მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

11.10.3.4. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

<u>11.11. მსესხებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემ(ებ)ი (მათ შორის, მაიდენტიფიცირებელი, ფინანსური, საკონტაქტო და სხვა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“(განთავსებული: https://swisscapital.ge/) და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამავდროულად, მსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს შეთავაზებ(ებ)ის მიღების შეწყვეტა იმავე ფორმით/არხით, რომლითაც იღებს შეთავაზებას/ებს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა მოქმედებს უვადოდ (მის გამოხმობამდე), ხოლო თანხმობის გახმობის შემთხვევაში, მსესხებელი ვეღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებას/ებს მომსახურების და/ან პროდუქტ(ებ)ით სარგებლობასთან დაკავშირებით. მსესხებლის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გახმობის შემთხვევაში, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავება შეწყდება გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.“</u>

11.12. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ-ს ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მსესხებელს შეუძლია მიმართოს განცხადებით, მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით, კერძოდ მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მის მეილზე წერილობით, ოფიცერი შემსრულებლის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 (კალენდარული) დღის განმავლობაში გასცემს პასუხს, ოფიცრის მონაცემები: - გიორგი შერმადინი, საკონტაქტო მეილი legal@safco.ge; საკონტაქტო ტელ: 511 155 154

12. ფორს-მაჟორი

12.1 არც ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ მხარის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება ხელშეკრულების დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებით, რომლის წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ მხარეს არ შეეძლო მიზანშეწონილი ზომების მიღებით;

12.2 ფორსმაჟორული გარემოებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, სამთავრობო ან სხვა მსგავს მოქმედებებს

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, აგრეთვე წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა აღნიშნული ფორსმაჟორული გარემოების დადასტურების შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფორსმაჟორული გარემოება საყოველთაოდაა ცნობილი). ასეთ შემთხვევაში, მხარეს, რომელიც აცხადებს ფორსმაჟორული გარემოების დადგომას, დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების ვადით გაუგრძელდება ვადა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელსაც ხელი შეუშალა და შეაფერხა ფორსმაჟორულმა გარემოებამ და იგი არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან, რომელსაც ხელს არ უშლის ფორსმაჟორული გარემოება

12.4 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდება, მსესხებელი ან გამსესხებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემადგენელი ხელშეკრულებით გაცემული კრედიტის ნაწილში. ასეთ შემთხვევაში, გამსესხებელს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან სამი დღისა, დაუბრუნდება გაცემული კრედიტი ფორსმაჟორული გარემოების დადგომის თაობაზე შეტყობინების მიღების მომენტამდე რიცხულ სარგებელთან ერთად, რაც იქნება იპოთეკის/გირავნობის საგანზე გამსესხებლის სასარგებლოდ არსებული იპოთეკის/გირავნობის გაუქმების პირობა. გარდა ამისა, გამსესხებელი უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხაზის მომსახურების ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დადებული შემადგენელი იპოთეკის ან/და გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება კრედიტისა და სარგებლის დაბრუნებამდე (გადახდამდე), ან იპოთეკის/გირავნობის საგნის იპოთეკარის/მოგირავნის საკუთრებაში გადასვლამდე, ან იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციამდე (იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, აღნიშნული პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციის გზით თანხის (სესხი,

სარგებელი, პირგასამტეხლო, ჯარიმა საარბიტრაჟო, სააღსრულებო, სანოტარო, გამსესხებლის იურიდიული მომსახურების ხარჯები და სხვა ხარჯები) ამოღებამდე);

13. შეტყობინების წესი.

13.1. მხარეთა შორის კონტაქტი ხორციელდება ამ ხელშეკრულების აღნიშნულ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელ. ფოსტის მისამართებზე;

გამსესხებლისათვის: საქართველო, ქ. თბილისი, გამზირი აკაკი წერეთელი N 118, 1-ლი პავილიონი; ტელ: 2 300 300, info@swisscapital.ge;

მსესხებლისთვის: წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებულ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელ. ფოსტაზე:

13.2. მსესხებელი აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს გამსესხებლის მიერ გამოგზავნილი ყველანაირი შეტყობინება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე;

13.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის მისამართებზე, მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან მიღებაზე უარის თქმისა, ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად;

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი შეიცვლის ადგილსამყოფელს, ელ. ფოსტას ან ტელეფონის ნომერს, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს გამსესხებელს;

13.5. ამ ხელშეკრულების 13.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს ან/და ელ. ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართებად ჩაითვლება ახალი მისამართები და მასზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულების 13.2 და 13.3 მუხლებით დადგენილი წესები;

13.6. ამ ხელშეკრულების 13.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით არ აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს, ან/და ელ. ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართებად ჩაითვლება ამ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართები და ამ მისამართებზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების 13.2 და 13.3 მუხლებით დადგენილი წესები;

13.7. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 13.4 მუხლით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუშვებელია რაიმე სახის პრეტენზიის დაყენება გამსესხებლის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალსახად და არა ორაზროვნად არ დასტურდება ის გარემოება, რომ გამსესხებლისათვის ცნობილი იყო მსესხებლის ახალი მისამართი.

13.8. გამსესხებლის მიერ მსესხებელზე გაცემული სესხის მესამე პირზე გასხვისების ან/და სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ან/და სესხის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/დროებით შეჩერების შემთხვევებში, მსესხებლის (ასევე თანამსესხებლის, სოლიდარული თავდების, გირავნობის/იპოთეკის საგნის მესაკუთრის (მათი არსებობის შემთხვევაში)) ინფორმირება უნდა განხორციელდეს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ფაქტ(ებ)ის დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა;

13.9. თუ კრედიტზე, მათ შორის, ორმხრივი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, იზრდება შენატანის ოდენობა, გამსესხებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ მსესხებელს, და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ ცვლილებამდე არანაკლებ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ასევე, მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ ცვლილების განხორციელების მომენტში შეცვლილ პირობებზე დათანხმების შემთხვევაში, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ ცვლილების შემდეგ არაუგვიანეს ხუთ სამუშაო დღეში.

13.10. წინამდებარე ხელშეკრულების 13.9. პუნქტით გათვალისწინებული პირობა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც აღნიშნული ცვლილების განხორციელების მომენტში მსესხებელი და/ან თავდები და/ან სოლიდარული თავდები და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრე ეთანხმება შეცვლილ პირობებს. ამასთან, 13.9. პუნქტით გათვალისწინებული პირობა არ ვრცელდება „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების (N32/04) მე-3 მუხლის მე-20 პუნქტით და მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე;

13.11. გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მსესხებელთან/თანამსესხებელთან/სოლიდარულ თავდებთან/მესაკუთრესთან კომუნიკაციის მიზნით გამოიყენოს ამ უკანასკნელ(ებ)ის მიერ მისთვის მიწოდებული და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკონტაქტო არხი. (საკომუნიკაციო არხის არჩევითობა განისაზღვრება გამსესხებლის შეხედულებით). ამასთან, გამსესხებელი არ აგებს პასუხს

ვალდებულების დარღვევისათვის, თუ დაკავშირება/ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია გამსესხებლისთვის;

13.12. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტში ან/და მასთან დაკავშირებით მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების/მესაკუთრის მიერ გამსესხებლისადმი წარდგენილ განაცხადში, მითითებულია მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების/მესაკუთრის მხრიდან საკონტაქტო პირი, გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების/მესაკუთრის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში და სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მისი ამოღების მიზნით) ნებისმიერი სახის და შინაარსის კომუნიკაცია (მათ შორის და არა მხოლოდ, მოთხოვნების მოცულობისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესახებ) განახორციელოს შეუზღუდავად, როგორც თავად მსესხებლთან/თანამსესხებლთან/თავდებთან/მესაკუთრესთან, ისე საკონტაქტო პირ(ებ)თან. მსესხებლი/თანამსესხებლი/თავდები/მესაკუთრე ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა ნებართვა და თანხმობა საკონტაქტო პირისგან, მისი პერსონალური მონაცემების გამსესხებლისთვის გადაცემის და მათი დამუშავების თაობაზე და საკონტაქტო პირ(ებ)ი ინფორმირებულია;

13.13. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ დოკუმენტში მითითების გზით (მათ შორის გამსესხებლისთვის ზეპირი ფორმით მიწოდებული ინფორმაციით) ან/და საჯარო წყაროებიდან, გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა მსესხებელთან/თანამსესხებელთან/თავდებთან/მესაკუთრესთან დაკავშირებული მესამე პირ(ებ)ის ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი, გამსესხებელი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების/მესაკუთრის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მისი ამოღების მიზნით) დაუკავშირდეს აღნიშნულ პირ(ებ)ს და მოახდინოს მათთან ნებისმიერ სახისა და შინაარსის კომუნიკაცია, რაც გამომდინარეობს მსესხებლის/თანამსესხებლის/თადების/მესაკუთრის ადგილმდებარეობის მოძიების ან/და მასთან დაკავშირების მიზნებიდან;

14. პრეტენზიების წარდგენის წესი

14.1 მსესხებელი უფლებამოსილია გამსესხებელს წაუყენოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან/დანართებიდან გამომდინარე პრეტენზია წერილობით, ან გამსესხებლის ვებ გვერდზე **www.swisscapital.ge** > მომხმარებელთა პრეტენზიების მოდულში შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებით ან ზეპირად.

14.2. გამსესხებელი ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განიხილოს მსესხებლის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია და შეატყობინოს შესაბამისი გადაწყვეტილება მსესხებელს, მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით ან/და საკონტაქტო ტელეფონზე ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიწოდების გზით. შესაძლებელია მსესხებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პასუხი პრეტენზიაზე ჩაბარდეს მატერიალური ფორმით;

15. ზოგადი დებულებები

15.1 რომელიმე მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არა დამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

15.2 ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება გამსესხებელს მსესხებელის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად კრებითია და დაემატება ამ ხელშეკრულებით ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

15.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი მსესხებელი:

15.3.1 თითოეული ასეთი მსესხებელი წარმოადგენს გამსესხებლის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებებზე;

15.3.2 თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს მსესხებელი ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს;

15.3.3 თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამსესხებლის

სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

15.3.4 ერთ-ერთ მსესხებელთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა მსესხებლების მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ გამსესხებლის მიერ რომელიმე მსესხებლის მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა მსესხებლებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

15.3.5 ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ მსესხებელს და მის მიმართ ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე. გამსესხებლის წერილობითი შეთანხმების გარეშე მსესხებელს უფლება არ აქვს სხვას გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

15.5 მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის იურდიული მისამართი.

15.6წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

15.7 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს. ასეთი დანართებია: შემადგენელი ხელშეკრულებები თანდართული გრაფიკებით, ასევე უზრუნველყოფის შესახებ ყველა ხელშეკრულება, რაც დადებულია ამ ხელშეკრულებით ან დაიდება რომელიმე შემადგენელი ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ასევე ყველა ისეთი ხელშეკრულება რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით წინამდებარე ხელშეკრულების მომსახურებას ითვალისწინებს მათი დადების შემთხვევაში.

15.8 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს (მათ შორის უზრუნველყოფის ხელშეკრულებას) მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, შემადგენელი თუ სხვა ხელშეკრულება

15.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, და თითოეული გადაეცათ მხარეებს.

15.10.გამსესხებლის საზემდამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი მდებარე მისამართზე:თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“ არ არის ლიცენზირებული ბანკი

და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი.

მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა

მხარეთა ხელმოწერები:

გამსესხებელი:	მსესხებელი:
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“ წარმომადგენელი	